ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

2021-
2022

მონიტორინგის ანგარიში

ევროპის უნივერსიტეტი

www.eu.edu.ge

სარჩევი

უნივერსიტეტის შესახებ 3
სამოქმედო გეგმის მონიტორინგი 6
შეფასებების შეჯამება 7
მონიტორინგი მიმართულებების მიხედვით 9
- უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება .. 9
- უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება 14
- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ხარისხის ამაღლება, სწავლა-სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების ფართოდ დანერგვა 16
- სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება 22
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და გაძლიერება 24
- უნივერსიტეტის ორგანიზაციული მართვა და რესურსების განვითარება 27

უნივერსიტეტის შესახებ

ევროპის უნივერსიტეტი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში 2012 წელს გამოჩნდა და წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მზარდ და საერთაშორისო კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საქართველოში. უნივერსიტეტი აერთიანებს 3 ფაკულტეტსა და 16 საგანმანათლებლო პროგრამას, სადაც სწავლობს 3500-მდე სტუდენტი 70-მდე ქვეყნიდან.

უნივერსიტეტი არის ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული, მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა:

- სტუდენტზე ორიენტირებული, ხარისხიანი უმაღლესი განათლების შეთავაზება;
- ადგილობრივი და საერთაშორისო დასაქმების ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება;
- სამეცნიერო/კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება;
- საქართველოში ცოდნის საზოგადოებასა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირებაში აქტიური მონაწილეობა და საკუთარი წვლილის შეტანა;
- კრიტიკული აზროვნების, ინოვაციური და აკადემიური უნარ-ჩვევების განვითარებით, ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თვითრეალიზებისა და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა;
- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა;
- სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, საზოგადოების განვითარებაზე ზრუნვა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების უზრუნველყოფა, ტოლერანტობის, ურთიერთპატივისცემისა და კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა

ევროპის უნივერსიტეტი არის ქუთაისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი და ფლობს საკუთარ, ჯო ენის, საუნივერსიტეტო ჰოსპიტალს, სადაც უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს პრაქტიკული მეცადინეობები დარგის წამყვანი სპეციალისტების მიერ უტარდებათ. უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, 250 სტუდენტისთვის განკუთვნილი საერთო საცხოვრებელი.

უნივერსიტეტი წარმატებით თანამშრომლობს წამყვან კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. უნივერსიტეტი არის ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) წევრი, GUNi-ს ინოვაციური ქსელის ინსტიტუციური წევრი, ასევე ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE), ევროპის საერთაშორისო განათლების ასოციაციის (EAIE), ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის (AMSE), ევროპის სტომატოლოგიური განათლების ასოციაციის (ADEE) და პროგრამების ასოციაციის (ACM) აკადემიური წევრი.

უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს და აქტიურად თანამშრომლობს 26 ქვეყნის 62 უცხოურ უნივერსიტეტთან, საიდანაც 35 მდებარეობს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. ასევე უნივერსიტეტი ერაზმუს+ კრედიტ მობილობის საშუალებით თანამშრომლობს სამი ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.



ევროპის უნივერსიტეტი არის ერაზმუს+ ჟან მონეს აქტივობების ორგზის გამარჯვებული და წარმატებით ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებს. ევროპის უნივერსიტეტი ამ ეტაპზე ევროკომისიის დაფინანსებულ ორ პროექტში მონაწილეობს როგორც პარტნიორი და კოორდინატორი. უნივერსიტეტი არის ნელი ტურიზმის მენეჯმენტის EMDM პროექტის კონსორციუმის წევრი, რომელიც მოიცავს 6 ქვეყნის 7 უნივერსიტეტს. უშუალოდ სასწავლო პროგრამის განხორციელება სემესტრულად მოხდება სამ უნივერსიტეტში, რომელთაგაც ერთ-ერთი ევროპის უნივერსიტეტია.

უნივერსიტეტმა კოორდინატორის სტატუსით მოიპოვა ევროკომისიის დაფინანსება პროექტისთვის "სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტების განვითარება საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ახალგაზრდა ვეტერინარიის პროფესიონალების მომზადების მიზნით" (VETPRO). პროექტი საერთაშორისო ხასიათისაა და ევროპის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით გულისხმობს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი უნივერსიტეტების თანამშრომლობას. კერძოდ, კონსორციუმი შედგება 3 ქვეყნის 5 უნივერსიტეტისგან:

- ევროპის უნივერსიტეტი (საქართველო), კოორდინატორი
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (საქართველო)

- ესტონეთის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტი (ესტონეთი)
- ლატვიის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (ლატვია)

უნივერსიტეტში მოქმედებს ოთხი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი: სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი, მედიცინის კვლევითი ინსტიტუტი და აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტი. ინსტიტუტების ფარგლებში გამოიცემა საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალები.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი, რომლის ფარგლებშიც აქტიურად ხორციელდება ექსპედიციები და გამოიცემა სამეცნიერო ჟურნალი "არქეოლოგია", აღნიშნული აქტივობები უზრუნველყოფს ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას და მნიშვნელოვანი არტეფაქტების გადარჩენასა და შენახვას.

ევროპის უნივერსიტეტი რეგისტრირებულია Times Higher Education-ის "Impact Ranking"-ში მისი განსაკუთრებულად აქტიური მუშაობის გამო მდგრადი განვითარების შემდეგი მიზნების მისაღწევად: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა (3), ხარისხიანი განათლება (4), მშვიდობა, სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუციები (16) და პარტნიორობა მიზნების მისაღწევად.



სამოქმედო გეგმის მონიტორინგი

დოკუმენტში წარმოდგენილია ევროპის უნივერსიტეტის 2019-2025 წლების სტრატეგიისა 2021-2024 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულების ანგარიში 2021-2022 აკადემიური წლის საანგარიშო პერიოდისთვის.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავდა 2019 წელს დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, და უნივერსიტეტის მისიასთან და ხედვასთან სრულ ჰარმონიაში განსაზღვრავს უნივერსიტეტის, ორგანიზაციულ დონეზე, და მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულების განვითარების ძირითად პრიორიტეტებს.

ევროპის უნივერსიტეტის მიერ მისი მისიის, დეკლარირებული ხედვისა და ღირებულებების შესაბამისად, სტრატეგიულ პრიორიტეტად განსაზღვრულია შემდეგი მიმართულებები:

- უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება;
- უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება;
- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ხარისხის ამაღლება, სწავლა-სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების ფართოდ დანერგვა;
- სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და გაძლიერება;
- უნივერსიტეტის ორგანიზაციული მართვა და რესურსების განვითარება.

უნივერსიტეტის 2021-2025 წლების სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიის დოკუმენტს და განსაზღვრავს საანგარიშო პერიოდის ამოცანებსა და მათ მისაღწევად შემუშავებულ ღონისძიებებს. მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს სტრუქტურული ერთეულების მიერ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულების ხარისხის შეფასება, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, მათი ასახვა ძირითად მიგნებებში და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

მონიტორინგის ფარგლებში ხდება კვარტალური, ამოცანებისა შესრულების პროგრესის მონიტორინგი და საბოლოო წლიური შეფასება. ამ მიზნით, სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ თითოეულ პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულსა და პირს ეგზავნება სამოქმედო გეგმის შესაბამისად მომზადებული მონიტორინგის ფორმა, სადაც ახდენენ მათ მიერ შესასრულებელი ამოცანების შესრულების ხარისხის შეფასებას, აღნიშნულის ვერიფიკატორების წარმოდგენას, ამოცანის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი მიზეზების იდენტიფიცირებას. თვითშეფასების პერიოდის შემდეგ ხდება უნივერსიტეტის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ვერიფიკაცია, ცვლადებსა და ინდიკატორებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების განსაზღვრა და ანალიზი. მონიტორინგის პროცესი არის ღია და მიმდინარეობს თითოეული სტრუქტურული

ერთეულისა და პროცესებზე პასუხისმგებელი პირის ჩართულობით, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია როგორც საბოლოო, ასევე შუალედური შეფასების ეტაპზე და აქტიურ სამუშაო რეჟიმში წარმოადგინონ საკუთარი ხედვები შეფასებებთან დაკავშირებით.

საბოლოო ანალიზის საფუძველზე ყველა ღონისძიებას ენიჭება შესრულების შესაბამისი სტატუსი: შესრულებულია სრულად, შესრულებულია მეტწილად, შესრულებულია ნაწილობრივ და ვერ შესრულდა. ღონისძიებების შესრულების სტატუსის შესაბამისად შეფასებები ავტომატურად ენიჭება სამოქმედო გეგმის წლიურ ამოცანებს:

- შესრულებულია სრულად - დაგეგმილი ღონისძიებების 90% ან მეტი შესრულებულია;
- შესრულებულია მეტწილად - დაგეგმილი ღონისძიებების 60% ან მეტი შესრულებულია;
- შესრულებულია ნაწილობრივ - დაგეგმილი ღონისძიებების 30% ან მეტი შესრულებულია;
- ვერ შესრულდა - დაგეგმილი ღონისძიებების 30-ზე ნაკლები შესრულდა.

ღონისძიებებისთვის საბოლოო სტატუსების მინიჭებას ახდენს სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშის განხილვაზე/შეფასებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი, რომელიც მტკიცდება ყოველი წლის არაუგვიანეს 30 სექტემბერს რექტორის სამართლებრივი აქტით და რომლის შემადგენლობაშიც შედიან რექტორი, ვიცე-რექტორები, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის, ადამიანური რესურსების მართვისა და იურიდიული სამსახურის უფროსები. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის რექტორი.

მონიტორინგის ჯგუფი ღონისძიებების სტატუსის მინიჭების დროს ითვალისწინებს ღონისძიებების სირთულეს, მნიშვნელობასა და შესრულების ხარისხს.

წლიური მონიტორინგის ანგარიში განხილვის მიზნით წარედგინება უნივერსიტეტის მმართველ საბჭოს. წლიური ანგარიშის საფუძველზე, ჯგუფის რეკომენდაციების/რჩევების გათვალისწინებით, მმართველმა საბჭომ შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება სტრატეგიული განვითარების ან/და სამოქმედო გეგმაში ცვლილების განხორციელების შესახებ, ასევე ანგარიშში ასახული შეუსრულებელი ღონისძიებების შემდგომ საანგრიშო პერიოდის სამოქმედო გეგმაში დამატების შესახებ, თუ ღონისძიების შესრულების საჭიროება ისევ დგას.

შეფასებების შეჯამება

ევროპის უნივერსიტეტმა 2021-2022 წლის საანგარიშო პერიოდში დასახული მიზნების მიღწევას წარმატებით გაართვა თავი, ამოცანების უმეტესი ნაწილი სრულად, მეტწილად ან ნაწილობრივ არის შესრულებული, ასევე გამოიკვეთა გასაუმჯობესებელი მხარეებიც.

ღონისძიებების შესრულების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში 8 ამოცანა სრულად შესრულდა, 12 მეტწილად, ხოლო 10 ნაწილობრივ. ვერ შესრულდა მხოლოდ 1 ამოცანა.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის მიერ „ვერ შესრულებული“ ღონისძიებების ნაწილი უნივერსიტეტისავე მიღებულ გადაწყვეტილებას ეყრდნობა, რაც ღონისძიების აქტუალობის დაკარგვით არის გამოწვეული. ღონისძიებების ვერ შესრულების მიზეზებად ასევე გამოიკვეთა დაინტერესებული მხარეების ნაკლები ჩართულობა ან ჩართულობის დაბალი ხარისხი, საორგანიზაციო ცვლილებები უნივერსიტეტში.

ვერ შესრულებული ღონისძიებები მეტწილად უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების აქტივობებს ან მატერიალური რესურსების განახლებას ეხებოდა. ეს საკითხები უნივერსიტეტის მიერ მნიშვნელოვან პრიორიტეტებად განისაზღვრა 2022-2023 წლის საანგარიშო პერიოდის დაგეგმვისას.

2021-2022 წლის საანგარიშო პერიოდის მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, გაანალიზდა სტრატეგიული განვითარების გეგმის სამიზნე ნიშნულების შესრულების ანალიზი.

N	სამიზნე ნიშნული	2021-2022 წლის საანგარიშო პერიოდის შედეგები
1.	ევროპის უნივერსიტეტი საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს, როგორც უნივერსიტეტი და ახორციელებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას	ამ ეტაპზე ევროპის უნივერსიტეტში არ მოქმედებს სადოქტორო პროგრამები, უსდ-ს სტატუსს წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტი.
2.	ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის 80%-ზე მეტი კმაყოფილია და დადებითად აფასებს უნივერსიტეტის საქმიანობას	2021-2022 წლის საანგარიშო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვით, ადმინისტრაციული პერსონალის 93% კმაყოფილია და დადებითად აფასებს უნივერსიტეტის საქმიანობას.
3.	ევროპის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების 65%-ზე მეტი დასაქმებულია პროფესიის მიხედვით	2021-2022 წლის მონაცემებით გამოკითხული სტუდენტების 87% არის დასაქმებული, საიდანაც კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებულია 63%.
4.	ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების 80%-ზე მეტი კმაყოფილია და დადებითად აფასებს სასწავლო პროცესს	ევროპის უნივერსიტეტი ინარჩუნებს კმაყოფილების ნიშნულს. 2021-2022 წლის მონაცემებით სტუდენტების კმაყოფილების მაჩვენებელი 80%-ს წარმოადგენს.
5.	აკადემიური პერსონალის სულ მცირე 60% აფილირებულია ევროპის უნივერსიტეტთან	2021-2022 წლის საანგარიშო პერიოდის მონაცემებით ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის 36% არის აფილირებული.
6.	უნივერსიტეტში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია	უნივერსიტეტში მოქმედებს 16 აკრედიტებული და 2 ავტორიზებული საგანმანათლებლო პროგრამა.
7.	ევროპის უნივერსიტეტი ახორციელებს სულ მცირე 2 ახალ უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამას	უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს მუშაობა ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე, რომელიც დასრულდება 2023 წლის თებერვალში.

8.	უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტების სულ მცირე 20% აქვს სახელმწიფო სასწავლო გრანტი	უნივერსიტეტში 2021-2022 აკადემიურ წელს ჩარიცხული სტუდენტების 4% აქვს სახელმწიფო გრანტი.
9.	ევროპის უნივერსიტეტიდან ადმინისტრაციული პერსონალის გადინების მაჩვენებელი არ აღემატება 10%-ს.	2021-2022 წლის მაჩვენებლებით, ადმინისტრაციული პერსონალის გადინების მაჩვენებელი აღემატებოდა 10%-ს.

მონიტორინგი მიმართულებების მიხედვით

უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება

სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავს შემდეგ ამოცანებს:

- *უნივერსიტეტის ცნობადობისა და მის მიმართ ნდობის ამაღლება*

ამოცანების ფარგლებში უნივერსიტეტში რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა დაიგეგმა და განხორციელდა. საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტი ფართოდ იყო წარმოდგენილი ონლაინ და ტელემედიაში. უნივერსიტეტის შესახებ სიახლეები და მიმდინარე აქტივობები ვრცელდებოდა ისეთი ტელეკომპანიების საშუალებით, როგორიც არის საზოგადოებრივი მაუწყებელი, მაესტრო, იმედი, რუსთავი 2, ტელეკომპანია აჭარა, TV პირველი, პალიტრა TV. გაიზარდა უნივერსიტეტის სოციალური მედია არხების აუდიტირია. გარდა უნივერსიტეტის ოფიციალური გვერდებისა, მთელი წლის განმავლობაში რელევანტური ინფორმაციები ვრცელდებოდა შემდეგი საიტების მეშვეობითაც - FrontNews.ge ghn.ge timer.ge kvira.ge interpressnews.ge edu.aris.ge, Commersant.ge, Expressnews.ge, BPI.ge, BMG.ge, Pia.ge, BPN.ge, Region.ge, Reportiori.ge, For.ge.

საანგარიშო პერიოდში ევროპის უნივერსიტეტის სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრის მხარდაჭერით ჩატარდა ორი ტრენინგი - სტრესის მართვა კოვიდპანდემიურ გარემოში და ემოციური ინტელექტის კავშირი წარმატებასთან პარტნიორი ორგანიზაციებისთვის.

- *უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება*

უნივერსიტეტისთვის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ევროპის უნივერსიტეტის აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტმა და ევროპის უნივერსიტეტის ისტორიულ-არქეოლოგიურმა მუზეუმმა აწარმოა გათხრები ოხერახევის სამაროვანზე უნივერსიტეტის ისტორიულ-არქეოლოგიურ მუზეუმში ექსპოზიციას დაემატა ოხერახევის სამაროვნის არქეოლოგიური ექპედიციის დროს გამოვლენილი ძვირფასი ნივთები მუზეუმის ექსპოზიციაში ასევე განთავსდა ლაბორატორიულად დამუშავებული ბრინჯაოს ქანდაკების ფრგაგმენტი და განხორციელდა მისი გრაფიკული და ფოტოფიქსაცია.

განხორციელებულია ჟურნალ ,,არქეოლოგია“-ს N6-ის ფორმირება, რომელიც ეძღვნებოდა არქეოლოგ გერმანე გობეჯიშვილს. მუზეუმმა ჩაიბარა სარესტავრაციოდ გადაცემული კერამიკული მასალა, ლითონის არტეფაქტები და მძივები, რკინის არტეფაქტები და სხვა ძვირფასი ნივთები ექსპედიციებიდან.



გამოიცა ორი მონოგრაფია - ბადრი გოგუაძის ,,ადმირალი სპადე“, რომელიც ეძღვნება პირველი რესპუბლიკის 100 წლისთავს და გურამ ყიფიანის ,,ბოლნისის სიონი (ტაძრის ადრეული სამშენებლო ფენები და მისი უძველესი წარწერები)“.

კვალიფიკაციის ასამაღლებელ გამოცდებზე გამსვლელი საჯარო სკოლის პედაგოგებისთვის ჩატარდა 4 უფასო ტრეინინგი, რომელსაც ესწრებოდა 10 საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების 119 პედაგოგი.

ადგილობრივი აბიტურიენტების/სტუდენტების მოზიდვა

გაიმართა მე-10-12 კლასის მოსწავლეებთან ინტენსიური შეხვედრებისა და პრეზენტაციების ციკლი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ.

ვიზიტები განხორციელდა იმერეთის 12, სამეგრელო-ზემო სვანეთის 8 და კახეთის 8 მუნიციპალიტეტსა და ქალაქ თბილისის სკოლებში. შეხვედრას 200 სკოლის 5000-მდე დამამთავრებელი კლასის მოსწავლე დაესწრო.

შეხვედრაზე უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აბიტურიენტებს პრეზენტაციის სახით გააცნეს ინფორმაცია უნივერსიტეტის კამპუსების, საერთო საცხოვრებლის, ფაკულტეტების, პროგრამების, შეთავაზებების, გაცვლითი პროგრამების, დასაქმების რეალური შესაძლებლობების, სტუდენტური ცხოვრების, სწავლის საფასურის მოქნილი გრაფიკის, სტიპენდიების, პრაქტიკისა და სტაჟირების, სიმულაციური ცენტრების, ლაბორატორიების, კაბინეტების და სხვა სერვისების შესახებ.

უნივერსიტეტმა ასევე განახორციელა საჩვენებელი ლექციები/ვორქშოფები დაინტერესებული აბიტურიენტებისთვის/სტუდენტებისთვის. საქართველოს სკოლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის კორპუსში, მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ჩატარდა 19 ვორქშოფი 10 სხვადასხვა თემაზე.

უნივერსიტეტის სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დღეების ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე ვორქშოფი. ასევე ჟან მონეს ზამთრის სკოლის - "ევროპეიზაცია, როგორც საქართველოს დემოკრატიზაციის ინსტიტუტი" ფარგლებში უნივერსიტეტმა უმასპინძლა 89 მოსწავლესა და სტუდენტს.

ევროპის უნივერსიტეტი აქტიურად ცდილობდა აბიტურიენტებისთვის ხმის მიწვდენას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (NAEC) მეშვეობით აბიტურიენტებთან 40 000-ზე მეტი ინფორმაციული შეტყობინება გაიგზავნა.

- *საერთაშორისო აბიტურიენტების/სტუდენტების მოზიდვა*

საერთაშორისო აბიტურიენტების/სტუდენტების მოზიდვის მიზნით ახალი ბაზრების იდენტიფიცირება მოხდა ნიგერიასა და საუდის არაბეთში, ასევე, რეკრუტირების ახალი შესაძლებლობები ინდოეთსა და იორდანიაში. ამ მიზნით სამიზნე ქვეყნებში სამუშაო ვიზიტებიც განხორციელდა. საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის მიზნით გაფორმდა 20-ზე მეტი ხელშეკრულება საერთაშორისო აგენტებთან.

ჩატარდა ასზე მეტი სამუშაო შეხვედრა საერთაშორისო აგენტებთან, ასევე ჩატარდა პირისპირ შეხვედრები საქართველოში ვიზიტით ჩამოსულ პარტნიორებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან ევროპის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება

- *უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის უზრუნველყოფა*

უნივერსიტეტს საანგარიშო პერიოდში სააკრედიტაციო განაცხადი არ წარუდგენია.

- *არსებული პროგრამების უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფა*

საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტი განვითარების მიზნით განხორციელდა ბიზნესის ადმინისტრირების, სამართლის, მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის, ინფორმატიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, მენეჯმენტის, ფსიქოლოგიის, ფინანსების და საბანკო საქმის, ტურიზმის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების, აკადემიური მოსწრების ანალიზი. შედეგების საფუძველზე, განხორციელდა რელევანტური ცვლილებები.

განხორციელდა დაინტერესებული მხარეების ანალიზი, უნივერსიტეტში მომზადდა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაიგზავნა ბიზნეს-ადმინისტრირებისა და ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამების შუალედური ანგარიშები.

უნივერსიტეტში შემუშავდა და სააკრედიტაციოდ გაიგზავნა არქეოლოგიისა საბაკალავრო და ბიზნეს-ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამები, ხოლო ვეტერინარიის ინტეგრირებული პროგრამა შემუშავდა და წარმატებით გაიარა აკრედიტაცია.

- *პროგრამების ინტერნაციონალიზაცია, უცხოენოვანი პროგრამების შემუშავება და დანერგვა*

უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობდა სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამების შენარჩუნებისა და შეთავაზებების რაოდენობრივი ზრდის მიმართულებით, გაიზარდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების რიცხვი. საანგარიშო პერიოდში მობილობით გაემგზავრა 6 სტუდენტი. სტუდენტებმა აკადემიური მობილობით ისარგებლეს მალაგას (ესპანეთი) და მასარიკის (ჩეხეთი) უნივერსიტეტებში.

ასევე უნივერსიტეტის სტუდენტები და პერსონალი არაერთ საერთაშორისო ღონისძიებაში იყვნენ ჩართული:

- ჟან-მონეს პროექტის ფარგლებში განხორციელებული ზამთრის სკოლა, სადაც ლექტორებად ასევე უნივერსიტეტის პერსონალი იყო ჩართული.
- ოთხდღიანი ონლაინ სალექციო კურსი თემაზე ''ფინანსური განათლება'', რომელსაც აშშ-ის მშვიდობის კორპუსის ყოფილი მოხალისე უძღვებოდა.

- ტოკატ გაზიოსმანფაშას უნივერსიტეტთან (თურქეთი) თანამშრომლობით გამართული საერთო ონლაინ ვებინარი სტომატოლოგიაში. ვებინარზე ჯამში 114 სტუდენტი და აკადემიური პერსონალი დარეგისტრირდა.
- "გრიგორ თ. პოპა“ მედიცინისა და ფარმაციის უნივერსიტეტის (რუმინეთი) პროფესორების ონლაინ ლექციათა სერია ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის. ლექციების სერიაზე მედიცინის ფაკულტეტის 336 სტუდენტი და აკადემიური პერსონალი დარეგისტრირდა.
- ტიმიშოარას დასავლეთ უნივერსიტეტთან (რუმინეთი) თანამშრომლობით გამართული საერთო ონლაინ ვებინართა სერია საერთაშორისო ურთიერთობებითა და პოლიტიკით დაინტერესებული სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის.
- ვებინარი „კვლევის შეფასების რეფორმის უახლესი განვითარება“
- ვებინარი „მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება - უნივერსიტეტები და სამეცნიერო რჩევები გაურკვევლობის დროს“.
- ონლაინ სემინარების სერია ექსპერიმენტული და ქცევითი ეკონომიკის თემაზე, რომელიც ორგანიზებული იყო ქუინსლენდის უნივერსიტეტის (ავსტრალია) მიერ.
- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) უფასო ონლაინ კურსები. სტუდენტებმა, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს კურსი მიიღეს სერტიფიკატები. ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის 8 სტუდენტიდან თითოეული ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ ორგანიზებულ ერთ ან მეტ ონლაინ კურსს დაესწრო.
- Google-ის მიერ შემოთავაზებული უფასო სასერტიფიკატო კურსი "ციფრული მარკეტინგის საფუძვლები", რომელიც 26 სხვადასხვა სასწავლო მოდულისგან შედგება და აკრედიტირებულია დიდი ბრიტანეთის ყველაზე მსხვილი უნივერსიტეტის, ღია უნივერსიტეტისა და ევროპის ინტერაქტიული სარეკლამო ბიუროს (IAB Europe) მიერ. ამ ეტაპისთვის Google-ის მიერ შემოთავაზებული უფასო სასერტიფიკატო კურსი გაიარა ერთმა ადმინისტრაციულმა პერსონალმა, ერთმა სტუდენტმა.
- ონლაინ სასწავლო მოდულებში, რომელიც მომზადდა ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტი - "Third Way Project" ფარგლებში.

გარდა ამისა, ევროკავშირის მიერ თანადაფინანსებული ერაზმუს+ ჟან მონეს პროექტის - "ევროპული ღირებულებებისა და სტანდარტების განვითარება საქართველოს სკოლებში (EU-GS)” ევროპის უნივერსიტეტის პროფესორები უძღვებოდნენ ტრენინგების სერიას.

განხორციელდა რამდენიმე მობილობაც 2022 წლის მაისში ტრენინგ მობილობის პროგრამით ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი იმყოფებოდა მალაგას უნივერსიტეტსა (ესპანეთი) და ტიმიშოარას დასავლეთ უნივერსიტეტში (რუმინეთი).

მედიცინის ფაკულტეტის ორი სტუდენტი 2022 წლის 23 ივლისიდან 6 აგვისტოს ჩათვლით დაესწრო საზაფხულო სკოლას „Delightful Istanbul 2022 Summer School“ თურქეთში, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებული იყო კურსები „ნეირომეცნიერება“ და „გენეტიკა და სამედიცინო ბიოტექნოლოგია“. ევროპის უნივერსიტეტმა უზრუნველყო ორგანიზაციული და საინფორმაციო მხარდაჭერა.

საერთაშორისო პარტნიორობის გაღრმავების მიზნით ევროპის უნივერსიტეტმა მემორანდუმი 4 ევროპულ უნივერსიტეტთან გააფორმა:

- კალისიის უნივერსიტეტს (პოლონეთი)
- პერსონალის მენეჯმენტის უნივერსიტეტს (კონინი, პოლონეთი)
- უტენას გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტს (ლიეტუვა)
- ტრანსილვანიის უნივერსიტეტს (ბრაშოვი, რუმინეთი)

სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ხარისხის ამაღლება, სწავლა-სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების ფართოდ დანერგვა

- *სწავლა - სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების იმპლემენტაციის ხელშეწყობა*

უნივერსიტეტში განხორციელდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭიროებების კვლევა. 2021-2022 აკადემიური წლის პირველ კვარტალში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გადაეგზავნა საჭიროებების კვლევის კითხვარი ორ ეტაპად. მონაწილეთა საბოლოო რაოდენობამ, 201, სრული რაოდენობის 36% შეადგინა.

კვლევის შედეგების გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდის პირველ კვარტალში განახლდა ორი ტრენინგ მოდული მედიცინის ფაკულტეტისთვის, ტრენინგ მოდული სახელწოდებით "შეფასების მეთოდები" მოდიფიცირდა და ჩატარდა სააუდიტორიო სივრცეში, სადაც ტრენინგის შინაარსი ორიენტირდა OSCE-ს მეთოდზე. ასევე, განახლდა სწავლების მეთოდები, მოდულში "სწავლების თანამედროვე მეთოდები". ამავე კვარტალში ჩატარდა ტრენინგი ახალი მოდულის მიხედვით. განახლდა ორი არსებული ტრენინგ მოდული.

კვარტლების მიხედვით ჩატარებული ტრენინგებისა და დამსწრეების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

	წლიური მაჩვენებელი	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
ტრენინგების რაოდენობა	35	5	8	16	6
დამსწრეთა რაოდენობა	150	20	28	67	35

უნივერსიტეტის ტრენინგ-ცენტრისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, სადაც მონაწილეობა მიიღო ევროპისა და სხვა ადგილობრივი/უცხოური უნივერსიტეტების აკადემიურმა პერსონალმა (60 მონაწილე). გამოცემულია გამოსული მომხსენებლების აბსტრაქტების ბროშურა.

- *სამართლებრივი დახმარების ცენტრის საქმიანობის არეალის გაფართოება*

სამართლებრივი დახმარების ცენტრმა მთელი წლის განმავლობაში განახორციელა არაერთი პრაქტიკული მასტერკლასი, ვებინარი, საჯარო ლექცია/დისკუსია, აგრეთვე, ცენტრმა იურიდიული კონსულტაცია გაუწია 70-ზე მეტ ბენეფიციარს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებით განსახილველად წარმოებაში მიიღო სამართლებრივი დახმარების ცენტრის საქმიანობის ფარგლებში სამართლის საბაკალავრო სტუდენტების მიერ მომზადებული კონსტიტუციური სარჩელი. არსებითი განხილვების შემდეგ სასამართლოს მეორე კოლეგიამ კონსტიტუციური სარჩელი დააკმაყოფილა.

კონსტიტუციური სარჩელი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტთა საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის საკითხს ეხებოდა. კონსტიტუციური სარჩელის ავტორები რეგულაციას, რომელიც საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას ზღუდავს ტესტირების აღდგენის შესაძლებლობას, არაკონსტიტუციურად მიიჩნევდნენ.

ცენტრმა აკადემიური წლის განმავლობაში 150-ზე მეტი იურიდიული კონსულტაცია განახორციელა, შეიმუშავა 60-ზე მეტი დოკუმენტი, ჩაატარა ორი ღონისძიება და შეიმუშავა 1 კანონპროექტი. საანგარიშო პერიოდში ცენტრს დაემატა სისხლის სამართლის საქმეები (პირველია მსგავსი პრაქტიკა) ცენტრის საქმიანობაზე შედგა ინტერვიუ რადიო ფორტუნაში.



სამართლებრივი
კონსულტაცია



შემუშავებული იურიდიული
დოკუმენტი

- *პრაქტიკული სწავლების ცენტრების, ლაბორატორიების დაფუძნება და არსებულის განვითარება*

უნივერსიტეტში განახლდა Body Interact -ის ლიცენზია. დაემატა 3 სტომატოლოგიური სასწავლო კაბინეტი. სიმულაციურ ცენტრში დამონტაჟდა საგამოცდო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა და სიმულაციური ცენტრის თანამშრომლების გადასამზადებლად განხორციელდა შესაბამისი ტრენინგი.

მედიცინის ფაკულტეტზე გაფორმდა ხელშეკრულება შპს ,,დუალმაინდთან'' რის საფუძველზეც მედიცინის სიმულაციურ ცენტრში მოხდება კლინიკური უნარების საგამოცდო პროცესის მართვის სისტემის აწყობა-ინსტალაცია.

განახლდა 3D ლაბორატორიის ერთწლიანი ლიცენზია, სტომატოლოგიური კლინიკის დაფუძნების მიზნით შეძენილია 15 სტომატოლოგიური სავარძელი.

უნივერსიტეტის არსებული ლაბორატორიები განახლდა შესაბამისი მასალებით, ხელსაწყოებითა და მატერიალური რესურსებით. უნივერსიტეტში ფიზიკის ლაბორატორიის მოწყობა.

ტურიზმის ცენტრის დაფუძნებისა და აღჭურვის მიზნით შეძენილ იქნა სათანადო მატერიალური რესურსები: ალპინისტის ტურიზმის სათვალე, თერმოჩანთა, საველე ჭურჭელი, თერმოსი, რუკები, საინფორმაციო ბუკლეტები, ატლასები. ხოლო კაბინეტის მოსაწყობად გამოყენებული იქნება უნივერსიტეტში არსებულ აღჭურვილობა, კერძოდ: ფოტოაპარატი, სამაშველო ქამარი ,დამცავ ჩაფხუტი, GPS ნავიგატორი, საძილე ტომრები, ზურგჩანთა, პარალონის დასაფენი და სხვა.

საანგარიშო პერიოდში სრულად მოხდა ვეტერინარიის ინტეგრირებული პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ლაბორატორიისა და კაბინეტის მოწყობა და აღჭურვა

სტანდარტების შესაბამისად. შეძენილ იქნა შესაბამისი სიმულატორები, მულაჟები, ჩონჩხები და ა.შ.

- *გარე პრაქტიკის გაძლიერება*

სამედიცინო/სტომატოლოგიური კლინიკური ბაზების რაოდენობის გაზრდის მიზნით მოლაპარაკება განხორციელდა ცამეტ სამედიცინო დაწესებულებასთან მათ შორის ექვს სტომატოლოგიურ კლინიკასთან. კერძოდ:

მედიცინის მიმართულებით:

1. პინეო სამედიცინო ეკოსისტემა- განახლდა ხელშეკრულება
2. ქირურგიის ეროვნული ცენტრი- განახლდა ხელშეკრულება
3. კლინიკა ახალი სიცოცხლე - გაფორმდა ახალი ხელშეკრულება (ერთ დოკუმენტშია ორი დაწესებულება- ქირურგიის ეროვნული ცენტრი (1) და ახალი სიცოცხლე (2))
4. პედიატრიული პრივატ კლინიკა - გაფორმდა ახალი ხელშეკრულება
5. სს ევექს ჰოსპიტლები- კარაპსმედლაინი - გაფორმდა ახალი ხელშეკრულება
6. მედისონ ჰოლდინგი - შეთანხმებულია ხელშეკრულების ყველა საკითხი კლინიკის ხელმძღვანელობასთან, თუმცა ველოდებით რომ დაგვიბრუნონ ხელმოწერილი ხელშეკრულება

სტომატოლოგიის მიმართულებით:

1. ნოვუსი - გაფორმდა ახალი ხელშეკრულება და მემორანდუმი
2. დენტალმარკეტი - გაფორმდა ახალი ხელშეკრულება და მემორანდუმი
3. ეფლდენტი - გაფორმდა ახალი ხელშეკრულება და მემორანდუმი
4. ნიუდენტი - გაფორმდა ახალი ხელშეკრულება და მემორანდუმი
5. ზეპლინი - დამატებით გაფორმდა მემორანდუმი
6. დენტალარტი - დამატებით გაფორმდა მემორანდუმი

საჯარო და კერძო დაწესებულებებთან (გარდა მედიცინის პრაქტიკის ობიექტებისა) დადებული მემორანდუმების რაოდენობის გაზრდის მიზნით გაფორმდა ახალი მემორანდუმები, არსებული მემორანდუმები გადაიხედა და დაიდო უვადოდ. მემორანდუმებში განისაზღვრა პრაქტიკის გავლის ფორმა, ვადები და პრაქტიკანტთა რაოდენობა. სულ გაფორმდა 219 მემორანდუმი.

- *აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის შესახებ ცნობიერების ამაღლება, დარღვევების გამოვლენა და პრევენციული მექანიზმების დანერგვა*

პერსონალის აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით უნივერსიტეტმა დაგეგმა შესაბამისი ტრენინგები. ოთხივე კვარტლის მონაცემთა ანალიზის შედეგად, გამოვლინდა, რომ გადამზადებულთა რიცხვი შეადგენს იმ პერსონალის 66%-ს, ვისაც სასწავლო პროცესში სჭირდება პლაგიატის სისტემის გამოყენება.
სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის ცენტრის ჩართულობით სტუდენტებისთვის ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, განხორციელდა ონლაინ შეხვედრები, სადაც სტუდენტებს პლაგიატის ფორმების და აკადემიური კეთილსინდისიერების მნიშვნელობის შესახებ გაუზიარდათ ინფორმაცია. ჯამში ჩატარდა 3 შეხვედრა, რომელსაც 100 ზე მეტ სტუდენტი ესწრებოდა.

აგრეთვე, "აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის პრევენციის კვირეულის" ფარგლებში, ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ ჩატარდა ონლაინ ქვიზები და პოსტერების კონკურსები.

დამატებით, მედიცინის ფაკულტეტის იმ სტუდენტებისათვის, რომლებმაც გაზაფხულის სემესტრი დაიწყეს 16 მაისს, აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ შეხვედრა 10 ივნისს უნივერსიტეტში ჩატარდა.

პლაგიატის ამომცნობი პროგრამული უზრუნველყოფა უნივერსიტეტის უკლებლივ ყველა ფაკულტეტზე ფართოდ გამოიყენება შესაბამისი წერითი დავალებების (რეფერატები, ანალიტიკური ესსეები/საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომები და ა.შ.) შემოწმების პროცესში. საბაკალავრო ნაშრომების 100% გატარდა Turnitin-ში.

- *სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება*

უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად, პერსონალის შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასრულების შემდგომ. 2020-2021 აკადემიურ წელს პერსონალი შეფასებულია სრულად, 203 აკადემიური პერსონალიდან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში 85 (42%) აკადემიურმა პერსონალმა წარმოადგინა: ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი - 17 (53%); სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 23 (52%); მედიცინის ფაკულტეტი - 45 (42%).

სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის 82%-მა შეასრულა მისთვის დადგენილი მოთხოვნები, ბიზნესისა და ტექნოლოგიის ფაკულტეტზე - 52%-მა, ხოლო მედიცინის ფაკულტეტზე - 78%-მა. ჯამურად, უნივერსიტეტის იმ აკადემიური პერსონალის 70%-მა, ვინც წარმოადგინა სამეცნიერო აქტივობის შეფასების ანგარიში, შეასრულა მათთვის დადგენილი მოთხოვნები.

საანგარიშო პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის დადგენილი მექანიზმების შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდებოდა მოწვეული და აკადემიური პერსონალის სააუდიტორიო მუშაობის შეფასება. ოთხივე კვარტლის მონიტორინგის შედეგად, გამოვლინდა, რომ ვინც ექვემდებარება შეფასებას ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიხედვით სრულად შეფასდა.

სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად, განხორციელდა საგამოცდო პროცესების შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება. გამოკითხვების შედეგებით, სტუდენტების 86% კმაყოფილი იყო საგამოცდო პროცესებით.

მექანიზმების შესაბამისად ასევე განხორციელდა კლინიკებისა და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება. გამოკითხული სტუდენტების 81% დადებითად აფასებდა პრაქტიკის/ კლინიკური სასწავლო კურსების განხორციელებას. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით მომზადდა რეკომენდაციები.

სტუდენტების და პერსონალის ზოგადი კმაყოფილების შეფასებისა და შეფასების შედეგების გამოყენების მიზნით, ხარისხის შიდა მექანიზმების შესაბამისად, ჩატარდა გამოკითხვა ზოგადი კმაყოფილების შესახებ, რომლის შედეგებითაც, გამოკითხული სტუდენტების 90% და პერსონალის 87% კმაყოფილებას გამოთქვამდა უნივერსიტეტთან ზოგად თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

სასწავლო წლის ბოლოს ასევე განხორციელდა პრაქტიკის კომპონენტის შეფასება. შეფასებაზე დაყრდნობით მომზადდა რეკომენდაციები. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, გამოკითხული სტუდენტების 96% დადებითად აფასებდა პრაქტიკის კომპონენტს.

სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება

- *სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მხარდაჭერა*

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა მასტერკლასი საერთაშორისო სტუდენტებისთვის თემაზე: „LinkedIn პლატფორმის მნიშვნელობა კარიერული განვითარებისთვის“, საჯარო ლექცია თემაზე „ეფექტური რეზიუმეს ფორმატი“ და მასტერკლასი "საკუთარი უნარების გაყიდვები და ორგანიზაციული კულტურა".

წლის განმავლობაში სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს მიეწოდათ ინფორმაცია დაახლოებით 90 პროფილური და ექსკლუზიური ვაკანსიის შესახებ დასაქმებისა და სტაჟირების მიმართულებით, ასევე ინფორმაცია 4 დასაქმების ფორუმის შესახებ.

- *სტუდენტთა შეხვედრების ორგანიზება დამსაქმებლებთან*

უნივერსიტეტი საანგარიშო პერიოდში მუშაობდა ნეთვორქინგის საკითხებზე, Zoom-ის ონლაინ საკომუნიკაციო პლატფორმის საშუალებით გაიმართა ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შეხვედრა დამსაქმებელთან. შეხვედრაზე განხილულ იქნა ფინანსურ ბიუროში არსებული მუშაობის სპეციფიკა და პერსპექტივები ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების მიმართულებით.

აგრეთვე, გაიმართა მსგავსი ფორმატის 3 დამატებითი შეხვედრა საქართველოს ბანკის, კლინიკა „ჰეფი დენტის “ და პროკრედიტ ბანკის წარმომადგენლებთან. სამივე შეხვედრის ფარგლებში, სტუდენტებმა მოისმინეს აღნიშნულ კომპანიებსა და ორგანიზაციებში მათი სტაჟირებისა და დასაქმების პერსპექტივები და პოტენციურ დამსაქმებლებთან.

მთელი წლის განმავლობაში კარიერული კონსულტაცია გაეწია 50-ზე მეტ სტუდენტს.

- *სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ელექტრონული სერვისების განვითარება*

სტუდენტებისა სათანადო ელექტრონული სერვის მიწოდების მიზნით, სტუდენტურ ბაზაში ჩაინტეგრირდა ორი ტიპის ხელშეკრულება - ქართველი და უცხოელი სტუდენტებისთვის. დაიწყო მუშაობა სტუდენტური ბაზის მოხმარების ელ. სახელმძღვანელოზე.

- *სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და ლოიალობის ზრდა*

დასახული ამოცანის ფარგლებში განხორციელდა შეხვედრა 80-ზე მეტ სტუდენტთან, განხორციელდა სტუდენტების გამოკითხვა და გამოკითხვებზე დაყრდნობით შეთავაზებულ იქნა შესაბამისი ტრენინგები, ვებინარები, საჯარო ლექციები და ვორქშოფები. თითოეულ სემინარსა თუ საჯარო ლექციას ესწრებოდა მინიმუმ 20 სტუდენტი.

სტუდენტთა ინფორმირების მიზნით განხორციელდა ძველი და ახალი აქტივობების შესახებ სტუდენტების საინფორმაციო ფურცლით, ე.წ. Newsletter-ით ინფორმირება.

კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა ტრენინგები.

- *ექსტრაკურიკულარული პროექტებისა და აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა - შესრულებულია მეტწილად*

უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე 20-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა შეთავაზებულ ექსტრაკურიკულარულ პრაქტიკაში.

უნივერსიტეტმა განახორციელა მედიაციის ზამთრის სკოლა, მედიაციის ეროვნულ შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო 15 ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 30-მა სტუდენტმა. ასევე უნივერსიტეტმა ორგანიზება გაუწია იმიტირებულ სასამართლო პროცესს, რომელშიც მონაწილეობდა 6 გუნდი.

უნივერსიტეტის ორივე ფაკულტეტმა დაგეგმა და განახორციელა მინიმუმ ერთი სტუდენტური კონფერენცია.

- *სტუდენტური გუნდების განვითარების ხელშეწყობა და სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერა*

სტუდენტური ინიციატივების შეფასების მიზნით, უნივერსიტეტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და გამოცხადდა პროექტების მიღება, შეიქმნა შეფასების კომისია, ჩატარდა სტუდენტთა მიერ წარმოდგენილი პროექტების პრეზენტაციები, თუმცა ვერცერთმა პროექტმა ვერ დააკმაყოფილა დადგენილი მოთხოვნები.

უნივერსიტეტი საანგარიშო პერიოდში მუდმივად უზრუნველყოფდა ფრენბურთის გუნდისთვის საჭირო წვრთნასა და მატერიალურ რესურსებს. გუნდი დაკომპლექტებულია 12 მოთამაშით, 2 მწვრთნელით, გუნდის მენეჯერით და კლუბის პრეზიდენტით. გუნდმა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ითამაშა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა კლასიკურ ფრენბურთში და უმაღლესი ლიგა ქვიშის ფრენბურთის ჩემპიონატში, ასევე საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის მიერ დაგეგმილ უნივერსიადაში.

უნივერსიტეტის ხელშეწყობით დარეგისტრირდა 8 ახალი სტუდენტური კლუბი. კლუბების განვითარების მიზნით გაიხსნა საჭირო ოფიციალური სივრცე და შეძენილი იქნა სათანადო ინფრასტრუქტურა. კლუბების გააქტიურების მიზნით გაიმართა არაერთი ღონისძიება. ამის გარდა, სტუდენტურ სივრცეში ხშირად იმართებოდა სტუდენტური შეხვედრები, სალონური საუბრები, როგორც ლოკალური, აგრეთვე, საერთაშორისო სტუდენტებისთვის. კლუბები მხარდაჭერილია მატერიალურ-ტექნიკურად უნივერსიტეტის სტუდენტების მომსახურების ცენტრის მიერ.

უნივერსიტეტი საანგარიშო პერიოდში ასევე აქტიურად უჭერდა მხარს ფუტსალის გუნდის განვითარებას. 2021 წლის ოქტომბერ-დეკემბერში ფუტსალის გუნდი მონაწილეობდა საქართველოს ჩემპიონატის მეორე ლიგის პირველ წრის თამაშებში, რომელიც დაამთავრა პირველი ადგილის მოპოვებით. გუნდმა ისტორიაში პირველად, მეორე ლიგიდან საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გადაინაცვლა.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და გაძლიერება

- *უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტების პერიოდული გადახედვა*

უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ სრულად განახლდა სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებისა და პოტენციალის შესახებ ინფორმაცია. უნივერსიტეტში ასევე განხორციელდა ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მიერ დეკლარირებული პრიორიტეტების დეკლარირებული ანალიზი და სამომავლო კვლევითი თემატიკა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრმა განსაზღვრა სამიზნე ნიშნულის შესაბამისად.

- *სამართლის კვლევითი ინსტიტუტის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია*

სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მომზადებისა და წარდგენის მიზნით უნივერსიტეტის კვლევითი ინსტიტუტის მიერ საანგარიშო პერიოდში წარდგენილი იყო ათამდე პროექტი სხვადასხვა ლოკალურ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში, თუმცა წარუმატებლად.
უნივერსიტეტში სხვადასხვა დროს ჩატარდა ვებინარი და საჯარო ლექცია სამართლის სფეროსთან რელევანტურ საკითხებზე. ორივე ღონისძიებას 30-ზე მეტი მონაწილე ესწრებოდა.

ოქტომბრის თვეში სამართლის ინსტიტუტისა და საფრანგეთის საელჩოს ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც 30-ზე მეტი ადამიანი ესწრებოდა.

ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტმა, საქართველოში საფრანგეთის საელჩოს თანაორგანიზებით, მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გამართა. კონფერენცია ჩატარდა 2022 წლის 23 ივლისს.

2021-2022 წლებში ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტმა ქართულ ენაზე შექმნა შემდეგი სამეცნიერო ლიტერატურა:

- „შედარებითი სისხლის სამართალი“ (სახელმძღვანელო). აღნიშნული სახელმძღვანელო შესულია საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტების სამართლის პროგრამების სილაბუსებში.
- „ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებები სისხლის სამართალში.“
- „კონცენტრაციების კონტროლი საქართველოში“.

- *მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია*

კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალის ციტირების ინდექსი გაიზარდა, ამასთან საანგარიშო პერიოდში გამოიცა მისი სამი ნომერი. საანგარიშო პერიოდისთვის ინსტიტუტმა მოიპოვა ერთი პროექტის დაფინანსება.

განხორციელდა 13 აქტივობა, პანელური დისკუსიები/საერთაშორისო კონფერენცია/ვებინარები.

- *გლობალიზაციის, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია*

ინსტიტუტის მიერ წარდგენილი რამდენიმე პროექტისა, მათგან ვერცერთმა მოიპოვა დაფინანსება. საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტისა და ხერსონის სახელმწიფო აგრარულ - ეკონომიკური უნივერსიტეტის (უკრაინა) ორგანიზებით, საერთაშორისო კოლექტიური მონოგრაფია მომზადდა სახელწოდებით „სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიები და მათი განხორციელების მექანიზმები ეკონომიკური დაუცველობისა და გლობალიზაციის ცვლილებების პირობებში“

გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი 2 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის თანაორგანიზატორი იყო, ამასთან მისი წარმომადგენლები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იღებდნენ მონაწილეობას სხვადასხვა ადგილობრივ/საერთაშორისო აქტივობებში.

- *კვლევითი საგრანტო პროექტების ინიცირების ხელშეწყობა*

გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი იყო სამეცნიერო-კვლევითი პროექტი ,,უმაღლესი განათლების თანამედროვე გამოწვევები, შრომის ბაზარი და სამეწარმეო აქტიურობის განვითარება".

უნივერსიტეტში არსებული "კვლევის დაფინანსების წესის" და "პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმების" წესის გასაცნობად განხორციელდა სამუშაო შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. განხორციელდა 2 კონსულტაცია აკადემიურ პერსონალთან SDGF-ის და Wellcome-ის ფონდების მიერ გამოცხადებული საგრანტო პროგრამების შესახებ. 2021 წლის განმავლობაში ჯამში სულ ჩატარდა 5 (ონლაინ) შეხვედრა და 13 ინდივიდუალური კონსულტაცია აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, შესაბამისად წლიური სამიზნე ნიშნულები შესრულებულია.

2022 წლის 29 აპრილს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრმა ჩაატარა საინფორმაციო ონლაინ შეხვედრა აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის თემაზე "როგორ შევარჩიოთ სამეცნიერო ჟურნალი", სადაც განხილული იყო სამეცნიერო ჟურნალების შერჩევის მეთოდები, ე.წ. "predatory journals"-ების ამოცნობის ინსტრუმენტები და მეთოდები.

სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ფარგლებში გლობალიზაციის კვლევითი ცენტრის მიერ მომზადდა და წარდგენილია ორი სამეცნიერო კვლევითი-პროექტი.

კვლევითი გრანტებისა და სტიპენდიების შესახებ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით მუდმივად ხდებოდა ინფორმაციის გაზიარება საგრანტო პროგრამების, კონფერენციებისა და ვორქშოფების შესახებ, ჯამში 100-მდე ღონისძიება. ბიზნესისა და ტექნოლოგიების და სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის განხორციელდა ონლაინ ვორქშოფი თემაზე "თვისებრივი კვლევის მეთოდები და კვლევის ეთიკა", რომელსაც კარდიფის მეტროპოლიტენის უნივერსიტეტის პროფესორი, ჰიბა მასუდი უძღვებოდა.

- *კვლევით საქმიანობაში სტუდენტების ჩართვის წახალისება და ხელშეწყობა*

უნივერსიტეტში ამ მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა განხორციელდა. მედიცინის ფაკულტეტზე შემოდგომის სემესტრის სტუდენტური კონფერენცია ჩატარდა 20-21 დეკემბერს, სადაც ჩართული იყო 40-მდე სტუდენტი.

უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებულ კვლევით პროექტში ჩართული იყო რამდენიმე სტუდენტი, მათ შორის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სამი სტუდენტი ჩაერთო სამეცნიერო-კვლევით პროექტში ,, უმაღლესი განათლების თანამედროვე გამოწვევები, შრომის ბაზარი და სამეწარმეო აქტიურობის განვითარება ".

მედიცინის ფაკულტეტზე დაიბეჭდა სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალის მე-4 ნომერი, რომელშიც დაიბეჭდა ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების სამეცნიერო სტატიები. ჟურნალი განთავსდა საჯარო ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში.

სამართლის ინსტიტუტის მიერ წარდგენილ პროექტში: Practice of providing international legal assistance in civil cases in Georgian courts - წარდგენილი იყო ევროპის უნივერსიტეტის 3 სტუდენტი.

ამასთან ერთად, სტუდენტების სამეცნიერო აქტივობებში ჩართვის მიზნით დაიგეგმა ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა:

- პოსტერების კონკურსი თემაზე „პლაგიატის პრევენცია“
- ონლაინ შეხვედრა ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის (სამუშაო ენა - ქართული) თემაზე „სამეცნიერო სტატიის წერა“.
- ონლაინ შეხვედრა ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის (სამუშაო ენა - ინგლისური) თემაზე „სამეცნიერო სტატიის წერა“.
- მედიცინის ფაკულტეტის უცხოენოვან სტუდენტებთან ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა თემაზე „აკადემიური კეთილსინდისიერება და პლაგიატის პრევენცია“.

- *კვლევის შედეგების გაზიარება ფართო საზოგადოებისთვის*

უნივერსიტეტში განხორციელდა შიდა საგრანტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „უმაღლესი განათლების თანამედროვე გამოწვევები, შრომის ბაზარი და სამეწარმეო აქტიურობის განვითარება“ პრეზენტაცია.

უნივერსიტეტის ორგანიზაციული მართვა და რესურსების განვითარება

- *ორგანიზაციის მართვა*

უნივერსიტეტში ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების შედეგების ანალიზი და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვის მიზნით განხორციელდა კმაყოფილების კვლევა. კვლევაში პერსონალის 43.5%-მა მიიღო მონაწილეობა.

ორგანიზაციული კულტურის განვითარების მიზნით ხდებოდა პროფესიული დღეების აღნიშვნა და თანამშრომელთა პერიოდული წახალისება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, თანამშრომელთა 80% კმაყოფილია უნივერსიტეტში დამკვიდრებული ორგანიზაციული კულტურით. უნივერსიტეტის ვაკანტურ პოზიციებზე გაზრდილი იყო მომართვიანობის მაჩვენებელი, თუმცა ამასთანავე 2021-2022 წლის პერსონალის გადინების წლიური მაჩვენებელი წარმოადგენდა 15%-ს.

განახლდა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების, შინაგანაწესის, თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების, პერსონალის შერჩევის წესის და ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენციათა შეფასების წესის დოკუმენტები.

უნივერსიტეტში განხორციელდა ადმინისტრაციული პერსონალის ყოველწლიური შეფასება, შეფასების პროცესში თანამშრომელთა 96%-მა მიიღო მონაწილეობა.

- *ადამიანური რესურსის (ადმინისტრაციული/აკადემიური/მოწვეული) მოზიდვა*

უნივერსიტეტი საანგარიშო პერიოდში აქტიურად მუშაობდა საერთაშორისო გამოცდილების მქონე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოზიდვაზე. ჯამში 4 საერთაშორისო გამოცდილების მქონე კანდიდატთან შედგა თანამშრომლობა.

უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობა ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მოზიდვაზეც თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

- *ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა*

თანამშრომელთა შეფასების შედეგად, ჩატარდა დამატებითი კვლევა პროფესიული განვითარების დაგეგმვის მიზნით. გამოვლინდა და დაიგეგმა ინგლისური ენის დონის ამაღლების მიზნით შესაბამისი ტრენინგები.

ადმინისტრაციული პერსონალისთვის განვითარების გეგმის შედგენის და თანამშრომელთა კომპეტენციების ამაღლებისთვის კონკრეტული საჭიროებების გამოვლენის მიზნით ჩატარდა დამატებითი მოკვლევები, გამოვლენილი შედეგების მიხედვით დაიგეგმა თანამშრომელთა განვითარების გეგმის შედგენა და განხორციელება.

- *უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების განვითარება*

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა შეიძინა ჯო ენის კლინიკა, დაიწყო სტომატოლოგიური კლინიკის მოწყობის პროცესი და სახანძრო უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესება.

- *საინფორმაციო - ტექნოლოგიური რესურსის განვითარება*

უნივერსიტეტმა საანგარიშო პერიოდში შეიძინე 8 აიპი კამერა. შეიძინე და დაამონტაჟა ქსელური აპარატურა ადმინისტრაციულ კორპუში.

საგამოცდო ცენტრისთვის შეძენილი იყო 44 კომპიუტერი.

ევროპის
უნივერსიტეტი

(+995 32) 2 000 171

info@eu.edu.ge

www.eu.edu.ge